ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - არტაშეს ბალასანიან

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2025 წლის 30.10 -დან 2026 წლის 30.09-მდე.

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“

კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

30.10.2025 წ.-დან 30.09.2026 წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 17
საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2025-2026წწ.

- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 8, ვესწრებოდი - 7 სხდომას;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 9, ვესწრებოდი - 7 სხდომას.

3. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

1) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;

2) „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

3) „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ)“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცებისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებებში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5) „ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 04 თებერვლის №5 დადგენილების თაობაზე;

6) „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 11 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 6 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 250, მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული ძირითადი საკითხები;

2) მიწის ნაკვეთის სისტემური რეგისტრაციის შესახებ საკითხები;

3) გარე განათების გაგრძელების საკითხები;

4) სოფლების დიდი პამაჯი, ორალი, ყულალისის შიდა გზების რეაბილიტაციის საკითხები;

5) სოფელ პატარა პამაჯის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის საკითხები;

6) მოქალაქეობის აღდგენისა და ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხები;

7) სოფელ ყულალისში არსებული საბავშვო ატრაქციონის მიმდებარე ტერიტორიაზე ღობის მოწყობის საკითხები;

8) შეხვედრები მოსახლეობასთან ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენისა და მუნიციპალურ პროგრამებში ასახვის მიზნით.

5. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

პრობლემური საკითხები მიეწოდა საკრებულოს და მერიას, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შესაბამისი შუამდგომლობა გაეწია მიწის სისტემურ რეგისტრაციას. არსებული პრობლემები, რომელიც შედის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში, დეპუტატის შუამდგომლობით მიწოდებულია მერიაში და ნაწილობრივ განხორციელდა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა, თემატურ ტრენინგებზე და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

შევსების თარიღი - 13.10.2026წ.

წარდგენის თარიღი ---- 30.10.2026

- ხელის მოწერა ----